სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. სოციალური ქცევის რომელი ტიპი ხასიათდება არსებულ წესებთან შემგუებლობითა და გაბატონებული მოსაზრებების პასიურად მიღებით?

ა) ქარიზმატულობა;

ბ) ექსცენტრულობა;

გ) კონფორმულობა;

დ) ინოვატორულობა.

(1) **2. რა შეიძლება გახდეს ეკომიგრაციის გამომწვევი მიზეზი?**

ა) სტიქიური მოვლენები;

ბ) პოლიტიკური რეპრესიები;

გ) ეკონომიკური სიდუხჭირე;

დ) ეთნიკური დაპირისპირება.

(1) **3. სამართლის რომელი დარგი არეგულირებს დანაშაულებრივი ქმედების განსაზღვრასა და შესაბამისი სასჯელის დაწესებას?**

ა) საკონსტიტუციო სამართალი;

ბ) მუნიციპალური სამართალი;

გ) სამოქალაქო სამართალი;

დ) სისხლის სამართალი.

(1) **4. რა ეწოდება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმას, რომლის დროსაც ცენტრალური ხელისუფლებისა და ფართო ავტონომიის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებები ნათლად არის გამიჯნული კანონმდებლობით?**

ა) უნიფიცირებული;

ბ) მუნიციპალური;

გ) ფედერაციული;

დ) უნიტარული.

(1) **5. რომელი პოლიტიკური იდეოლოგია ეფუძნება მტკიცებას, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს პიროვნების კერძო ცხოვრებაში იმაზე მეტად, ვიდრე საჭიროა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დასაცავად?**

ა) ფაშიზმი;

ბ) ანარქიზმი;

გ) კომუნიზმი;

დ) ლიბერალიზმი.

(1) **6. რომელი მსჯელობა *<u>არ შეესაბამება</u>* საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით განსაზღვრულ დებულებას, რომლის თანახმადაც საქართველო არის სოციალური სახელმწიფო?**

ა) სახელმწიფო იცავს სოლიდარობის პრინციპს;

ბ) სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას;

გ) სახელმწიფო ანიჭებს ახალგაზრდებს პრივილეგიებს;

დ) სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე.

(1) **7. სქემატურ გამოსახულებაზე მოცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს კონკრეტულ სფეროზე. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?**



ა) ბიზნესის მდგომარეობა;

ბ) პოლიტიკური პლურალიზმი;

გ) სამოქალაქო პასუხისმგებლობა;

დ) სასამართლოს დამოუკიდებლობა.

(1) **8. რა მნიშვნელობა აქვს პრეამბულას საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურაში?**

ა) განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას;

ბ) ადგენს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დანაწილების პრინციპს;

გ) გამოიყენება როგორც სამართლებრივი საფუძველი საგადასახადო პოლიტიკისა და ბიუჯეტის შედგენისას;

დ) ასახავს იმ ძირითად იდეებსა და პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფო.

(1) **9. რომელ პრაქტიკულ მაგალითშია მოცემული ალტერნატიული დანახარჯი?**

ა) ინვესტორი 1 000 000 ლარის ინვესტიციას დებს სპორტული კომპლექსის მოსაწყობად, რის შედეგადაც ვეღარ აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს;

ბ) კომპანია იღებს გადაწყვეტილებას ახალი ტექნიკის შესაძენად, ვინაიდან ძველი ტექნიკა არაეფექტურია გამოსაყენებლად;

გ) მთავრობა აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება საზოგადოების ფუნქციონირებას;

დ) ხელოვნების ფონდი 100 000 ლარით აფინანსებს კულტურულ ღონისძიებას, რომლის მიმართაც დიდია საზოგადოებრივი ინტერესი.

(1) **10. რა განსხვავებაა აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს შორის?**

ა) აქტიური საარჩევნო უფლება რეფერენდუმებში გამოიყენება, ხოლო პასიური - თვითმმართველობის არჩევნებში;

ბ) აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს არჩევნებში პარტიული სიის წარდგენის უფლებას, ხოლო პასიური - კენჭისყრაში მონაწილეობას;

გ) აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას, ხოლო პასიური - უფლებას, რომ საარჩევნო კანდიდატად დარეგისტრირდე;

დ) აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობა შესაძლებელია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს, ხოლო პასიურით - პროპორციული სისტემისას.

(1) **11. რომელი სიტუაცია მიუთითებს ფულის გათეთრების პროცესზე?**

ა) უკანონოდ მიღებული დიდი ოდენობის თანხის გადარიცხვა სხვადასხვა ანგარიშზე დასაბუთებული ეკონომიკური საფუძვლის გარეშე;

ბ) შრომითი ხელშეკრულებების სისტემატური დარღვევა და თანამშრომელთა დროული ანაზღაურების უგულებელყოფა;

გ) სახელმწიფო შესყიდვების პროცესში პროცედურული წესების იგნორირება და არათანაბარი კონკურენციის შექმნა;

დ) საგადასახადო ვალდებულებებისაგან თავის არიდების მიზნით ფინანსური ანგარიშგების გაყალბება.

(1) **12. მორალსა და კანონს შორის განსხვავების შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?**

I. მორალი საზოგადოებაში მიღებული წესებისა და ნორმების ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას, ხოლო კანონი სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი დოკუმენტებით განისაზღვრება და მათი შესრულება მოქალაქეებისთვის სავალდებულოა;

II. კანონი დაუწერელი წესების ერთობლიობაა, რომლებიც მრავალწლიანი ტრადიციის საფუძველზე ყალიბდება და თითოეული მოქალაქისათვის სავალდებულოა მათი დაცვა, ხოლო მორალი სახელმწიფოს მიერ მიღებული წესებია, რომლებიც კონსტიტუციითაა გამყარებული;

III. მორალი საზოგადოებაში მიღებული დაუწერელი წესების ერთობლიობაა და მის დამრღვევ პიროვნებას საზოგადოება მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს, ხოლო კანონი სახელმწიფოს მიერ წერილობით დგინდება და მისი დამრღვევი მოქალაქე სახელმწიფოს წინაშე სამართლებრივად აგებს პასუხს.

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) სამივე მართებულია.

(1) **13. ერთ-ერთმა მედია საშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია შემდეგი სათაურით: „დამნაშავის სასამართლო პროცესი ერთი კვირით გადაიდო“. აღნიშნული მოვლენის რომელი შეფასებაა სამართლებრივი თვალსაზრისით მართებული?**

ა) მედია უფლებამოსილია სასამართლო პროცესის დაწყებამდე პირი მოიხსენიოს, როგორც დამნაშავე, თუ არსებობს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, რადგან ჟურნალისტური თავისუფლება არ იზღუდება ფორმალური სამართლებრივი შეფასებით;

ბ) ჟურნალისტური ეთიკა არ მოითხოვს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას და პირის დამნაშავედ მოხსენიება წინასწარ დასაშვებია, თუ საქმე სისხლის სამართლის ხასიათისაა;

გ) საზოგადოებრივი აზრის ფორმირება სასამართლო პროცესზე ზემოქმედების გარეშე ხდება, ამიტომ ტერმინის „დამნაშავე“ გამოყენება ნეიტრალურია და არ არღვევს პირის უფლებებს;

დ) ტერმინის „დამნაშავე“ გამოყენება ქმნის წინასწარ სამართლებრივ შეფასებას და არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, რადგან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე პირის სტატუსი არ არის დადგენილი.

(1) **14.** საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედებს ორი სააპელაციო სასამართლო: თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები. სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ---------- წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ა) საკასაციო;

ბ) კენჭისყრის;

გ) იმპიჩმენტის;

დ) საარბიტრაჟო.

(1) **15.** საერთაშორისო ---------- სამართალი მიზნად ისახავს ომის მსხვერპლთა დაცვასა და შეიარაღებული კონფლიქტებით გამოწვეული ტანჯვისა და ზიანის შემცირებას. იგი ადგენს ომის წარმოების სამართლებრივ ჩარჩოს და გამოიყენება ომის დანაშაულების შეფასებისათვის.

ა) გარემოსდაცვითი;

ბ) ჰუმანიტარული;

გ) სამოქალაქო;

დ) კერძო.

(1) **16.** თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი რომელი პრინციპის დარღვევას ასახავს მოცემული ილუსტრაცია?

ა) პოლიტიკური ტოლერანტობის;

ბ) ხელისუფლების დანაწილების;

გ) სოციალური თანასწორობის;

დ) სახალხო სუვერენიტეტის.

(1) **17. გაეცანით ტექსტს ჯონ მერლინის ნაწარმოებიდან და უპასუხეთ კითხვას:**

,,და რა არის ცუდი ყიდვა-გაყიდვაში? არაფერი, თავისთავად ეს არაფერ ცუდს არ წარმოადგენს, უბრალო და აუცილებელი საქმეა, მაგრამ ის მხოლოდ მცირე რამაა ადამიანის ცხოვრებაში და არა მთელი მისი არსებობა, თვითმიზანი, ცხოვრების წესი ან რწმენის წყარო. აი, სწორედ ეს არის, რადაც ის იქცა. ტრაგიკული ხუმრობაა, რომ მისგან რელიგია შექმნა. დღე და ღამე გვაყრუებს ამ ახალი სამღვდელოების ყვირილი. მათი პირიდან მხოლოდ ერთი სიტყვა ამოდის: იყიდე! მათთვის სხვა არაფერია წმინდა. სავალალო სასწაულს ჩაიდენენ, რათა ადამიანი მხოლოდ მუცლის გასავსებად შექმნილ ცხოველად გადააქციონ. ყველაფერი, რაც კი ღირსეულია ცხოვრებაში, შეიბღალება ამ ცხოველის მადის დასაკმაყოფილებლად და ყველაფერ ამას, როგორც გვეუბნებიან, ყველაზე კეთილშობილური მოტივებით აკეთებენ. ვაჭრობა მათი უმაღლესი მისწრაფებაა. … ეს სულიერი სიკვდილია. სად არის აქ ადგილი სიკეთისა და სილამაზისთვის? სად არის დრო მარადიული კითხვების თავიდან დასასმელად, ადამიანის ქცევის შესასწავლად? ხეებზე მლოცველ ველურსაც კი უფრო მდიდარი ცხოვრება აქვს.“

რა ტიპის საზოგადოებაა გაკრიტიკებული მოცემულ ტექსტში?

ა) საერთო საკუთრებაზე დაფუძნებული სოციალისტური საზოგადოება;

ბ) მომხმარებლობაზე ორიენტირებული კაპიტალისტური საზოგადოება;

გ) სიმდიდრის მოხვეჭისაკენ მიმართული თეოკრატიული საზოგადოება;

დ) კერძო საკუთრებაზე აღმოცენებული პირველყოფილი საზოგადოება.

(1) **18. დიაგრამა ასახავს საქართველოსა და თურქეთის გლობალიზაციის ინდექსებს 1991 და 2020 წლებში:**





რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა) საქართველოში გლობალიზაციის საერთო ინდექსი 1991-2020 წლებში საგრძნობლად გაიზარდა, მაშინ, როდესაც თურქეთში იგი მკვეთრად შემცირდა;

ბ) ორივე ქვეყანაში 1991-2020 წლებში გლობალიზაციის სხვა კომპონენტებთან შედარებით, ყველაზე მეტად პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსი შემცირდა;

გ) 1991-2020 წლებში გლობალიზაციის საერთო ინდექსზე ყველაზე დიდი გავლენა როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, სოციალური გლობალიზაციის ცვლილებამ მოახდინა;

დ) 1991 წელს ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი საქართველოში უფრო დაბალი იყო, ვიდრე თურქეთში, ხოლო 2020 წელს იმავე კომპონენტში საქართველომ გაუსწრო თურქეთს.

(1) **19.** ინფოგრაფიკა ასახავს საქსტატის მონაცემებით საქართველოში სამუშაო ძალის (უმუშევრობა, დასაქმება, სამუშაო ძალის მონაწილეობა) 2024 წლის მაჩვენებლებსა და ცვლილებას წინა პერიოდთან შედარებით:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

ა) ქალთა დასაქმების მაჩვენებლები აღემატება კაცებისას, რაც მიუთითებს გენდერულ სხვაობაზე შრომის ბაზარზე;

ბ) სამუშაო ძალის მონაწილეობის დინამიკა უარყოფითია, რაც მიუთითებს, რომ წინა პერიოდთან შედარებით მდგომარეობა გაუარესდა;

გ) სოფლის მოსახლეობის სამივე მაჩვენებელი აღემატება ქალაქის მოსახლეობის შესაბამის მაჩვენებლებს, რაც მიუთითებს დასაქმების ნაკლები შესაძლებლობების არსებობაზე ურბანულ სივრცეში;

დ) სამუშაო ძალის მაჩვენებლების დინამიკა განსხვავებულია სქესისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც მიუთითებს, რომ შრომის ბაზარზე ცვლილებები ყველა სეგმენტზე ერთნაირად არ აისახება.

(1) **20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ კითხვას:**

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, განათლება მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ განვითარების ფაქტორად მიიჩნევა. გამოქვეყნებულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ბოლო ათწლეულებში გაიზარდა, თუმცა ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები კვლავ შენარჩუნებულია.

ბევრ ქვეყანაში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და თანამედროვე სასწავლო რესურსების დანერგვას. საერთაშორისო ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ მილიონობით ბავშვი კვლავ ვერ იღებს სრულფასოვან განათლებას ეკონომიკური, სოციალური ან გეოგრაფიული ბარიერების გამო.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასა და სოციალური უთანასწორობის შემცირებასთან. ამასთან, ზოგი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ სასკოლო სისტემის რეფორმა საკმარისი არ არის და საჭიროა განათლების პოლიტიკის კოორდინაცია შრომის ბაზართან.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, საერთაშორისო საზოგადოებაში კვლავ მიმდინარეობს დისკუსია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად პასუხობს არსებული საგანმანათლებლო სისტემები სწრაფად ცვალებად გლობალურ გამოწვევებს, მათ შორის ტექნოლოგიურ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა ფაქტი და არა მოსაზრება?

ა) განათლების პოლიტიკა უნდა იყოს კოორდინირებული შრომის ბაზართან;

ბ) განათლების ხარისხის გაუმჯობესებამ შეამცირა სოციალური უთანასწორობა;

გ) არსებული საგანმანათლებლო სისტემები სრულად პასუხობენ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს;

დ) არაერთ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

(1) 21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:

„უნდა გითხრათ, რომ პიროვნება, რომელიც აზროვნებს, შეუძლებელია დაიმონოთ. მონები არიან ისინი, ვინც სტანდარტული, კონიუნქტურული აზროვნების ჩარჩოში ექცევა და ფიქრობს, რომ ესაა ერთადერთი ჭეშმარიტება. ასეთი მონები დღესაც უამრავია. აქვთ ამოჩემებული რაღაც და ბრმად გაჰკივიან – ეს ასეა და ტვინს არ ანძრევენ. მაგრამ ვისაც აზროვნება შეეძლო, მისი დამონება შეუძლებელი იყო მაშინაც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრ ჩარჩოში იყო ჩასმული. საშუალება არ ჰქონდა წიგნის დაბეჭდვისა, საზოგადოებრივი ლექციის წაკითხვისა და რაღაც საქმიანობაში მონაწილეობისა, მაგრამ თავისთავად თავისუფალი პიროვნება ყოველთვის თავისუფალი იყო. ადამიანი, რომელიც შინაგანად თავისუფალია, ის ციხეშიც თავისუფალია, თუმცა შეიძლება მთელი ცხოვრება მოუწიოს საკანში ჯდომა, მაგრამ ის, ვინც შინაგანად არ არის თავისუფალი და აზროვნება არ შეუძლია, ის ყველა სოციალურ ვითარებაში მონაა, რადგან მხოლოდ ერთი ვარიანტი აქვს – ვიღაცას ამოიჩემებს და იმას მისდევს, ფიქრობს, რომ ისაა მხოლოდ ჭეშმარიტების მქადაგებელი და სხვა ქვეყანაზე არავინ და არაფერია. მაგრამ თუ ასე არ ფიქრობს ადამიანი, არ არის გონებაშეზღუდული, ბუნებრივია, ვერავითარი სოციალური სინამდვილე მას ვერ დაიმონებს, ვერ შებოჭავს, ვერ შეზღუდავს მის სულიერ სამყაროს მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება წიგნის დაბეჭდვაც აუკრძალოთ, წერილების გამოქვეყნებაც აუკრძალოთ და ა.შ.“

აკაკი ბაქრაძე, რადიო ინტერვიუ, 1996 წელი.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

ა) შინაგანად თავისუფალ ადამიანს საკანში ყოფნისას უფრო მეტი დრო აქვს აზროვნებისთვის;

ბ) პიროვნების შინაგანი თავისუფლება დამოკიდებულია აზროვნებაზე და არა ფიზიკურ გარემოებებზე;

გ) ავტორიტეტებისადმი ერთგული ადამიანის გონების დამონება შეუძლებელია, თუნდაც საკანში იყოს გამომწყვდეული;

დ) ინდივიდის თავისუფლება განისაზღვრება მისი სოციალური სტატუსით და არა აზროვნების ჩარჩოებთან ბრძოლით.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს 2024 წელს სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯებს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



1. კანადა; 2. ამერიკის შეერთებული შტატები; 3. მექსიკა; 4. ბრაზილია; 5. არგენტინა; 6. ალჟირი; 7. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; 8. გაერთიანებული სამეფო; 9. საფრანგეთი 10. ესპანეთი; 11. გერმანია; 12. უკრაინა; 13. თურქეთი; 14. ყაზახეთი; 15. მონღოლეთი; 16. ჩინეთი; 17. იაპონია; 18. ავსტრალია; 19. ირანი; 20. ინდოეთი.



(1) **22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, სამხედრო ხარჯები:**

ა) მექსიკაში უფრო მაღალია, ვიდრე იაპონიაში;

ბ) ესპანეთში უფრო დაბალია, ვიდრე ყაზახეთში;

გ) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უფრო დაბალია, ვიდრე გერმანიაში;

დ) ბრაზილიაში უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

(1) **23. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია სახელმწიფოები დალაგებული სამხედრო ხარჯების ზრდის მიხედვით?**

ა) ირანი, ავსტრალია, ჩინეთი;

ბ) ინდოეთი, ალჟირი, კანადა;

გ) თურქეთი, მონღოლეთი, საფრანგეთი;

დ) უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, არგენტინა.

(1) **24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები მეტწილად დემოკრატიულობის ხარისხზეა დამოკიდებული;

ბ) ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები აღემატება სკანდინავიის ყველა ქვეყნის სამხედრო ხარჯებს;

გ) სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები მათი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად იზრდება;

დ) აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები უფრო დიდია, ვიდრე აზიის.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) **25. II სვეტში მოცემულ სახელმწიფო ორგანოებს შეუსაბამეთ I სვეტში მოცემული სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციები:**

1. სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციები	II. სახელმწიფო ორგანოები
ა) საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის ზედამხედველობა საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად.	1. პროკურატურა 2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური 4. შინაგან საქმეთა სამინისტრო 5. ეროვნული ბანკი
ბ) ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის წარმართვა და ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა.	
გ) საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების უზრუნველყოფა.	
დ) სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა.	
ე) დანაშაულის პრევენცია, ეფექტიანი რეაგირება და ამ გზით მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა.	

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება №26

გლობალური მოქალაქეობა

ტრადიციულად მოქალაქეობა განისაზღვრება როგორც კომერციული კავშირი სახელმწიფოსთან, რომელიც მოქალაქეს ანიჭებს უფლებებს და აკისრებს ვალდებულებებს. გლობალიზაციის პირობებში ადამიანები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ ისინი არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ მსოფლიო საზოგადოების წევრებიც არიან. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალური მოქალაქეობის ცნება, რაც გულისხმობს ინდივიდის პასუხისმგებლობას არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და ემსახურება ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და მშვიდობის განვითარებას.

გლობალური მოქალაქეობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო ქარტია," რომელმაც დაადგინა, რომ ღირსებითა და უფლებებით ყველა ადამიანი დაბადებიდან თავისუფალი და თანასწორია. ამ პრინციპებს იზიარებს საქართველო, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოა 1989 წლიდან. ადამიანის უფლებების დაცვა ასევე უზრუნველყოფილია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მეშვეობით, რომელსაც საქართველო შეუერთდა ევროპის კავშირში გაწევრიანების შემდეგ.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია ტირანიის უზენაესობის, მედიის თავისუფლებისა და სამართლიანი არჩევნების გარეშე. ეს პრინციპები განმტკიცებულია 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული კონსტიტუციით, რომელიც ქვეყნის უმაღლეს სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საქართველო არის დემოკრატიული, სამართლებრივი და სუვერენული სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების წყაროა პრემიერ-მინისტრი.

დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორობა. გარდა ამისა, საქართველოსთვის საერთაშორისო პარტნიორობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოს ვასალიტეტის დაცვასთან. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ქვეყნის კიდევ უფრო დიდი ნაწილია კონსოლიდირებული, რაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევას წარმოადგენს. ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის მოგვარება.

გლობალური პასუხისმგებლობების კონტექსტში მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც მოიცავს სამ მნიშვნელოვან ასპექტს და გულისხმობს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სამართლიანობის მიღწევას საკუთრების დაცვის გათვალისწინებით. კონცეფცია აღიარებულია, როგორც მსოფლიო მშვიდობისა და გრძელვადიანი სტაბილურობის აუცილებელი წინაპირობა. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მდგრადი განვითარების მიზნებს, რომლებიც „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ“ 2015 წელს მიიღო. ეს მიზნები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, სიღარიბის შემცირება, გარემოს დაცვა. ასევე, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (№27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

სკოლაში რამდენიმე მოსწავლე მუდმივად ამცირებს, შეურაცხყოფს და თავს გარიყულად აგრძნობინებს ერთ-ერთ თანაკლასელს. ამგვარი ძალადობრივი ქმედება ქმნის არაუსაფრთხო, მტრულ გარემოს და უარყოფითად აისახება როგორც კონკრეტულ მოსწავლეზე, ისე მთლიანად კლასზე. ხშირად მოსწავლეებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ მსგავს სიტუაციაში და ბულინგის შემთხვევები რჩება რეაგირების გარეშე.

პროექტის მიზანი:

ბულინგისაგან თავისუფალი, უსაფრთხო და პატივისცემაზე დაფუძნებული სასკოლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

ამოცანები: *(დაწერეთ კონკრეტული **მიმართულებები** პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)*

<u>I ამოცანა:</u>

<u>II ამოცანა:</u>

განხორციელების გზები: *(დაწერეთ კონკრეტული **ნაბიჯები, აქტივობები** დასახული ამოცანების გადასაჭრელად)*

<u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u>

<u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u>

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (№28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გააანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №28



(1) 28.1 რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

(1) 28.2 იმსჯელეთ ილუსტრაციაზე ასახული ვითარების სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებზე.

(2) 28.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად მედიის პოზიტიურ როლსა და მედიამომხმარებლის პასუხისმგებლობაზე დემოკრატიულ სახელმწიფოში.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (№29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული, ხოლო აზრი - დასრულებული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №29

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვთ დააწესონ სასკოლო ფორმა. კერძო სკოლებში სასკოლო ფორმით სიარული გავრცელებული პრაქტიკაა. საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, უნდა გახადოს თუ არა სახელმწიფომ სავალდებულო საჯარო სკოლებში ფორმის ტარება.

A. დაასახელეთ საჯარო სკოლებში ფორმების სავალდებულო ტარების მომხრეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.

B. დაასახელეთ საჯარო სკოლებში ფორმების სავალდებულო ტარების მოწინააღმდეგეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.

ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (№30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომლებსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება №30

წყარო N1

მაჰათმა განდის წინამძღოლობით 1930 წელს ინდოეთში დაიწყო „მარილის მარში“, რომელიც სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციად გადაიქცა. ამ მოძრაობამ მნიშვნელოვნად დააასუსტა ბრიტანეთის კოლონიური ავტორიტეტი და გააძლიერა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

წყაროებზე გადასვლა: 2 3 4 5 6 *დავალებებზე გადასვლა:* 30.1 30.2 30.3-30.7

წყარო N2

„იმედი მაქვს, რომ ხედავთ განსხვავებას, რომლის ხაზგასმასაც ვცდილობ. არავითარ შემთხვევაში არ ვუჭერ მხარს კანონის გვერდის ავლას ან მისთვის დაუმორჩილებლობას, როგორც ამას გააკეთებდა გააფთრებული სეგრეგაციონისტი. ეს ანარქიას გამოიწვევდა. ის, ვინც უსამართლო კანონს არღვევს, ეს ღიად, სიყვარულით და სასჯელის მიღების მზადყოფნით უნდა გააკეთოს. მე ვამტკიცებ, რომ ის ინდივიდი, ვინც არღვევს კანონს, რომელიც მისი სინდისის კარნახით უსამართლოა და ნებაყოფლობით იღებს პატიმრობის სასჯელს, რათა საზოგადოების სინდისი გააღვიძოს ამ კანონის უსამართლობაზე, სინამდვილეში კანონისადმი უმაღლეს პატივისცემას გამოხატავს.“

მარტინ ლუთერ კინგი, წერილი ბირმინგემის ციხიდან, 1963 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *3* *4* *5* *6*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.2* *30.3-30.7*

წყარო N3

„როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადიქცევა ხოლმე. ამ გზით სულჩადგმული ცხოვრება მოედანზედ გამოდის და შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ აღვიძებს და ფრთას ისხამს. ეს შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და სწამლავს გარეშემო ჰაერსა. [...] იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი - ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავის-თავს მართლა-და ადამიანადა სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას - ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს. [...] ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო.“

ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1882 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *4* *5* *6*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.2* *30.3-30.7*

წყარო N4

„იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქეები თავისთვის მუშაობენ და არ სურთ საზოგადოებრივ საქმეებზე დაკარგონ დრო, უნდა არსებობდეს კლასი, რომელიც იტვირთავდა ასეთ საზრუნავს, რათა შეევსო თავისი თავისუფალი დრო, მაგრამ ასეთი კლასი აღარ არის და მთავრობის ადგილი კი თითქოს თავისუფალია.

თუ ასეთ დროს ვინმე მარჯვე, ამბიციური პირი მოისურვებს ხელისუფლების მეთაურობას, აღმოაჩენს, რომ ნებისმიერი გზა უზურპაციისათვის თავისუფალია. გარკვეული ხნის განმავლობაში, თუ ის მოისურვებს ზრუნვას მოქალაქეთა მატერიალური ინტერესების განსახორციელებლად, მას ადვილად აპატიებენ დანარჩენ საქმეთა უგულებელყოფას, მით უფრო, თუ უპირველესად სრული წესრიგის გარანტობასაც იკისრებს. მატერიალურ შემლებას დახარბებული ადამიანები ეჭვობენ - რომ თითქოს განმათავისუფლებელი მოძრაობები საფრთხეს უქადიან საზოგადოების მატერიალურ კეთილდღეობას; სახალხო ვნებათა მცირეოდენ ხმაზეც, რომელიც იჭრება ადამიანთა კერძო ცხოვრების სიამეებში, ისინი ფხიზლდებიან და შფოთავენ. ანარქიის შიშით მუდმივ ეჭვების ტყვეობაში ექცევიან და ნიადაგ მზად არიან უწესრიგობის პირველსავე გამოვლენაზე თავისუფლებას განუდგნენ.“

ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, 1835 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 5 6 *დავალებებზე გადასვლა:* 30.1 30.2 30.3-30.7

წყარო N5

„რამდენადაც ყოველი ქვეყანა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სხვადასხვაგვარ და მრავალფეროვან ურთიერთობაში იმყოფება და მრავალი მათგანი - მათ შორის ჩვენი ქვეყანაც - ზოგიერთ სხვა ქვეყანაზე რეალურ ძალაუფლებას ახორციელებს, ყოველი ერისთვის აუცილებელია საერთაშორისო ზნეობის დამკვიდრებული წესების ცოდნა. შესაბამისად, ეს აუცილებელია ყოველი იმ ადამიანისთვისაც, ვინც ამ ერის ნაწილს შეადგენს და ვისი ხმაცა და განცდებიც ქმნის იმას, რასაც საზოგადოებრივ აზრს უწოდებენ. ნურავინ დაიმშვიდებს საკუთარ სინდისს იმ ილუზიით, თითქოს არანაირი ზიანის მომტანი არ იქნება, თუ არაფერში მიიღებს მონაწილეობას და არანაირ აზრს არ გაიჩენს. ბოროტ ადამიანებს თავიანთი მიზნების მისაღწევად მეტი არაფერი სჭირდებათ, გარდა იმისა, რომ კეთილმა ადამიანებმა გვერდიდან უყურონ და არაფერი გააკეთონ. კარგი ადამიანი არ არის ის, ვინც გაუპროტესტებლად უშვებს, რომ უსამართლობა მისი სახელით და იმ საშუალებებით ხორციელდებოდეს, რომელთა შექმნაშიც თვითონაც მონაწილეობს, მხოლოდ იმიტომ, რომ საკითხზე დასაფიქრებლად და საკუთარი გონების გამოსაყენებლად თავს არ იწუხებს. ერის ქცევა - როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით - იქნება უსამართლო, კორუმპირებული და ტირანული თუ გონიერი, სამართლიანი და კეთილშობილური, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ინტერესდება საზოგადოება საჯარო საკითხებით, რამდენად აკვირდება და აანალიზებს მათ და რამდენად აქვთ მოქალაქეებს ამ საკითხებზე ცოდნა და გააზრებული მსჯელობის უნარი.“

ჯონ სტიუარტ მილი, საინაუგურაციო სიტყვა წარმოთქმული სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტში, 1867 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 4 6

დავალებებზე გადასვლა: 30.1 30.2 30.3-30.7

წყარო N6

„მხატვარი ხატავს, მუსიკოსი ქმნის მუსიკას, რომანისტი წერს რომანებს. თუმცა, მე მჯერა, რომ ყველას გვაქვს გარკვეული გავლენა, არა იმ ფაქტის გამო, რომ მხატვრები ვართ, არამედ იმიტომ, რომ მოქალაქეები ვართ. როგორც მოქალაქეებს, ყველას გვაქვს ვალდებულება ჩავერიოთ და ჩავერთოთ, მოქალაქეა ის, ვისაც ცვლილება შემოაქვს. ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი რაიმე სახის სოციალური ან პოლიტიკური ჩართულობის გარეშე. დიახ, მე მწერალი ვარ, მაგრამ ამ სამყაროში ვცხოვრობ და ჩემი ნაწერები ცალკე არ არსებობს. კარგია თუ ხალხმა იცის ვინ ვარ და კითხულობს ჩემს წიგნებს. ამ გზით, თუ კიდევ რამე მექნება სათქმელი, უფრო მეტ ადამიანამდე მივა.“

ჟოზე სარამაგუ, ინტერვიუ „კვლავ ქუჩის მებრძოლი კაცი“, 2006 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.2* *30.3-30.7*

(1) **30.1 N2 წყაროს ავტორის აზრით:**

ა) ცალკეული მოქალაქეების მიერ სახელმწიფოს კანონების კრიტიკა საზოგადოებაში აჩენს უნდობლობას და ხელს უწყობს ქაოსის დამკვიდრებას;

ბ) სამართლიანი კანონების დაცვა მნიშვნელოვანია სახელმწიფო წესრიგის შესანარჩუნებლად, რადგან სრული დაუმორჩილებლობა ბადებს ანარქიას;

გ) ინდივიდის გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება გადაიზარდოს სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში, რადგან დიდია სასჯელის დაკისრების საფრთხე;

დ) მოქალაქის უპირობო ვალდებულებაა განურჩევლად ყველა კანონისადმი მორჩილება, ხოლო სინდისის კარნახით მოქმედება საზოგადოებაში არეულობას იწვევს.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5* *6*

დავალებებზე გადასვლა: *30.2* *30.3-30.7*

(1) **30.2 ილია ჭავჭავაძის ტექსტიდან გამომდინარე, რატომ არის მნიშვნელოვანი, ადამიანი საკუთარ თავს ხედავდეს ერთ-ერთ რგოლად წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჯაჭვში?**

ა) რათა ადამიანმა თავი დააღწიოს ჩაგრულის მდგომარეობაში ყოფნას და საკუთარი ღირსებისთვის ბრძოლა შეძლოს;

ბ) რადგან ადამიანის ბუნების უმთავრესი მახასიათებელი საკუთარი ძალის რწმენა და ისტორიაში სახელის დამკვიდრებისთვის ბრძოლაა;

გ) იმის გასაცნობიერებლად, რომ ცალკეული ადამიანის გავლენა ერის ისტორიაში უმნიშვნელოა და უმჯობესია თავის ყოფას შეეგუოს;

დ) იმისათვის, რომ ადამიანმა დრო და ენერგია პირად წარმატებაზე ზრუნვას დაუთმოს, ხოლო საზოგადოებრივი საქმეებისაგან დისტანცირდეს.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5* *6*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.3-30.7*

(1) 30.3 ალექსის დე ტოკვილის აზრით, რატომ აშფოთებთ განმანთავისუფლებელი მოძრაობები და განუდგებიან თავისუფლებას ისინი, ვინც მატერიალურ შეძლებას ესწრაფვიან?

(2) 30.4 ჯონ სტიუარტ მილის ტექსტზე დაყრდნობით, რა შედეგი მოჰყვება კეთილი ადამიანების უმოქმედობას და რაზეა დამოკიდებული ერის ქცევის ავკარგიანობა?

(2) 30.5 N6 წყაროს მიხედვით, იმსჯელეთ, რა განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს გააჩნიათ გავლენა. ახსენით, რა იგულისხმება ჟოზე სარამაგუს ფრაზაში: „ჩემი ნაწერები ცალკე არ არსებობს?“

(2) 30.6 რა საერთო არსებითი მახასიათებელი გააჩნდა მაჰათმა განდისა და მარტინ ლუთერ კინგის სამოქალაქო დაუმორჩილებლობას? N2 წყაროზე დაყრდნობით, იმსჯელეთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და კანონდარღვევის სხვა შემთხვევათა მოტივებს შორის არსებით განსხვავებაზე.

(2) 30.7 წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიური ჩართულობა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისათვის. სამოქალაქო მონაწილეობის რა ფორმებით შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქალაქეობა?

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5* *6*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.2*